ხელშეკრულებაN_14_

(CPV315310000)

ქ. მცხეთა **თებერვალი, 2023 წელი**

ერთის მხრივ, **ააიპ მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი**, შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მისი დირექტორი უჩა ალიბეგაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ახალი ნათება“ **(ს/კ 202066156)** შემდგომში „მიმწოდებელი“,წარმომადგენელი მისი გენერალური დირექტორის თემური არდოტელის სახით , საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015წლის 17აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

#	დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	XG020 24W ROUND 6500K LED PANEL /P224-P228/-/S814/	8	49.000	392
			ჯამი	392.00

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

2.2ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 392.00(სამას ოთხმოცდათორმეტი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან უნაღდოანგარიშსწორებით ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

3.2 ანგარიშწორება მოხდეს სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღეში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი'' კისრულობს ვალდებულებას;

4.2საქონლის მიწოდება მოხდეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.3„შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.4უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის შემსყიდველი მიმწოდებელს დააკისრებს პირგასამტეხლოს ჯარიმის სახით ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს.

5.4 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) შემსყიდველი დააკისრებს მიმწოდებელს ჯარიმას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ს

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2.თუ `მიმწოდებელი” და `შემსყიდველი” მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

9.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულენაზე.

10.ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1.ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება- ჩაბარებაზე ხელის მოწერას განახორციელებს ააიპ მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მატერიალური და სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ნუკრი ჩოხელი.

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ააიპ მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი	შპს ,,ახალი ნათება“
ს/კ: 436 255 473	ს/კ: 202066156
სს: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს: „საქართველოს ბანკი“
ბანკისკოდი: TRESGE22	ა/ა GE84BG0000 000 146 039 200
	ბანკის კოდი: BAGAGE22
მის:ქ.მცხეთა სამხედროს ქ. N9	მის.ქ.თბილისი, ალ, ყაზბეგის გამზირი 25ა
ტელ: 59919 50 80	ტელ: 0322202424
დირექტორი:უჩა ალიბეგაშვილი	**გენერალური დირექტორი: თემური არდოტელი**

NNLE Mtskheta Sports Recreation Complex

Digitally signed by NNLE Mtskheta Sports Recreation Complex
Date: 2023.02.15 17:14:16 +04'00'

New Light LLC

Digitally signed by New Light LLC
Date: 2023.02.15 17:53:53 +04'00'

ქ. მცხეთა

02.2023 წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მიერ 2023 წლის თებერვლის თვეში შპს ,,ახალ ნათება"-სთან გაფორმებული N14 ხელშეკრულებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ააიპ მცხეთის სპორტულ-გამაჯნსაღებელი კომპლექსის

დირექტორი: უჩა ალიბეგაშვილი